

ଶ୍ଵରପାତ୍ର

ଜୀବନତଥୀ ବ୍ୟାକ୍ସନରେ ଏହାରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା

Nº 1

1929 ଫେବୃଆରୀ ମୁଦ୍ରଣ

ମାନ୍ୟବିକାଳୀନ

ଖୋଲାଯାଇଲାଗାନ୍.

ପାଇମିଳାନ୍ ଘନାଶ୍ରୀ (ଲ୍ୟାଙ୍କିଲି) — ର୍ଯ୍ୟାନ ଆମନି.

ସିମଲ୍ଲାରା (ଲ୍ୟାଙ୍କିଲି) — ର୍ଯ୍ୟାନ ଆମନି.

ପ୍ରେରିଲ୍ଲା—ପ୍ରେରିଲ୍ଲା ମେଲ୍ଲାନ୍.

ବେଶ୍ୟାବ୍ୟୋତ୍ତି—ମୁଖ୍ୟାବ୍ୟୋତ୍ତି.

ଇନ୍ଦ୍ରପାତ୍ରି—ଇନ୍ଦ୍ରପାତ୍ରି (ଲ୍ୟାଙ୍କିଲି)

ଶାମ୍ଭେଦରାତ୍ରି—ଶାମ୍ଭେଦରାତ୍ରି (ଲ୍ୟାଙ୍କିଲି)

ଶାମ୍ଭେଦରାତ୍ରି—ଶାମ୍ଭେଦରାତ୍ରି (ଲ୍ୟାଙ୍କିଲି)

ରୂପ୍ସେତୀ—ରୂପ୍ସେତୀ (ଲ୍ୟାଙ୍କିଲି)

ପନ୍ଦବେଦି.

ო ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

ქართველ იუნკრობას ყოველთვის ჰქონდა სურვილი დაეარსებინა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო, რომელშიდაც საშვალება ექნებოდა გამო-ეთქვა თავისი სიტყვა და აზრი. წარსულში ამ მხრივ ბევრი ცდა იყო გაწეული. 1922 წელს ქ. ათინაში ლადო მახარაძის რედაქტორობით ქართველ იუნკრებმა გამოუშვეს უურნალი «ატროკებული ტვინი» (გამოვიდა სულ სამი ნომერი). ამავე წელს პოლონეთში მყოფ ქართველ იუნკრების ჯგუფმა დაწყო უურნალის წერა—«ჟაბუკის კვენესა», რომელიც ვერ იქნა დამ-თავრებული. 1924 წ. ნიკ. მათიკაშვილმა დასწერა უურნალი «ჩვენი რვეული»; ამ რვეულში მონაწილეობა მიიღო იუნკრების მცირე ნაწილმა. 1926 წ. პრ. აბულაძის რედაქტორობით ვარშავაში გამოვიდა «მთვარიდა». ყველა ზემოდ ჩამოთვლილი უურნალი შესრულებულია ხელ-ბეჭდვით და ამ მიხეზის გამო, გამოვიდა თითო-თითო ცალი. მიუხედავათ იმისა, რომ ამ უურნალებს იუნკრები სცემდნ, არც ერთი მათგანი არ ატარებს სამ-ხედრო ხასიათს.

როგორც სჩანს, ეს სურვილი, უუნალის შექმნისთვის არ იყო დრო-ული, მაგრამ დღემდის სინამდვილეთ ვერ იქცა, და ეს იმიტომ მოხდა, რომ მას იმ დროში გადაუვალი დაბრკოლებები ელობდოდა წინ. დღეს, მას შემდეგ რაც სრულიათ ჩამოყალიბდა ქართველ იუნკროთა კავ-შირი, ამ იდეამ ხორცი შეისხა და ამ გვარად, უურნალის გამოცემის სა-კითხი გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. უურნალ «მტკვარი»-ს პირ-ველი ნომერი გამოვიდა პარიზში 1928 წ. ნოემბერში, შაპიროგრაფზე და-ბეჭდილი.

დღეს ქართველი იუნკრები სამხედრო სკეპიალისტები არიან, მაშა-სადამე უურნალში დიდი ადგილი ექნება დათმობილი სამხე ირო დარგს. ამასთანავე ჩვენ ლრმად დარწმუნებული ვართ, რომ სამშობლოს მოწყვე-ტილ ნი ქართველი მხედრები, იუნკრებთან ერთად, მონაწილეობას მიიღე-ბენ ამ დარგში, რომ ქართულ მხედრობაში დამყარდეს სულიერი კავშირი და გაერთიანებული ძალებით, გასწიოს მუშაობა სამხედრო მეცნიერების ნიადაგზედ. ამავე დროს უურნალს ექნება ფართე ხასიათი და დაუთმობს ადგილს სხვ; დარგებს.

ქართველი იუნკრობა, ქართველ ახალგაზრდობასთან ერთად, დიდ განცდაში და გამოცდაში ჩააყენა ცხოვრებამ საქართველოს ისტორიის ბოლო ხანაში. ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს გაკაფილი და გარკვევეული შეხედულ ება, ხვალის ნება, გადაწყვეტილება და ეროვნული ლრმა შეგნე-

ბით მტკიცეთ უნდა იყოს შეკაეშირებული თავისი ქვეყნის ახალგაზრდების თან, რომ დღეს ცხოვრებამ არ დაამსხვროს და გადახვეტოს იგი, მაგრამ ლაც რომ ამ ძნელად სავალ გზიდან.

ახალგაზრდული ანთებით და აღფრთოვანებით იწყება ამ უურნალის გამოცემა ასეთ მძიმე წუთებში და ამავე აღფრთოვანებით გადალაზავს ივი სიძნელეებს და საქმიანი მსჯელობით და გადაწყვეტილებით შეხვდება ყოველგვარ მოვლენას.

ახალგაზრდული გატაცებით და ჭაბუკური სულის სისპეტაკით ჩვენი ერის სიყვარული შეგვაკავშირებს და გადაგვარჩენს ქართველ ახალ-აზრდობას.



პოემიდან

გ ზ ა ზ ე

ტფილისო გახსოვს ბევრი ამბები,
ათასი წლები შენს ფერხთა ჰყოია;
შემოგირკინავს ტანს დარაბები
და ისტორიამ ვერ დაგამტვრია.

დიდი წარსული ჰიმნს გეუბნება,
ქართული თვალით უმჩერ სამყაროს;
შენ ვერ დაგლუპავს უამთა ბრუნება,
თუნდაც ცეცხლები გადმოგაყაროს.

დაგიძარღვია რკინის მკერდები,
ზედ გეჯახება მსოფლიოს ბრუნვა;
მონარქის უინმა სასტიკ წყვეტებით
ვერ გადმოგდრიკა, ვერ დაგიურვა,

საფირონები ტანს შემოგეწვენ,
მაგრამ გადარჩა შენი კუნთები.
დუ ჩაბა მკერდხედ გადმოგელეწენ
ვნება აყრილი ცხელი სულთნები.

გულს ვერ გაგიჩეხს დალატი, შულლი,
გზაზე დამდგა ხარ ხმალ-შიშველია;
ქართული მოდგმის ჯიუტი შუბლი
უკვდავებაში აგიშვერია.

მჩე თამარ ქაონი გიმშვიდებს მზერას,
გულს გიხალისებს ისანის ლხინი,
სულში იხუტებ რუსთველის ყდერას,
გრძნობებს გიდაგავს მისი სახმილი.

ზურგზედ გაჩნია გარდაუშლელად
ერეკლე მეფის სხენის ნახტომი;
მტრის დასარტყამათ რომ მოგაშველა
დამასკის რკინა, სისხლში ნაწრთობი.

პოეტებს ასმევ სიცოცხლეს პეშვით
თაფლისფერ ჭალთებს სურნელ-მთვარიანს
დაგიკოცნიან მწყურვალე ეშხით,
აუდე ზებულნი შენთან არიან.

რეო ამონი.



ს ი მ ღ ე რ ა

საღამოვდება, აა დაილრუბლა,
მეტეხის ქვემოდ ატირდა მტყვარი
ჩემი სამშობლო სულ დაილუპა,
გადარჩა ობლად შვიდი ვარსკვლავი.

საღამოვდება სული ლონდება
უბერავს ქარი მძაფრად აფთარი
მომაგრნდება შალვა... ოთარი...
და მწუხარება განმეორდება.

სულ ჩამოლამდა უეპარ ქარში,
მოგონებები ფიქრმა არია;
დაგიტირებენ თქვენ თებერვალში...
ღლეს სამშობლოში სიმწუხარეა.

სატრფო მაცდური თავისი ნებით
სხვას გადაჰყება, გადავა დრო და..
თქვენ შეგობრებო ჩვენთან იქნებით
ხმალის მოქნევა თუ განმეორდა.

სალამოვდება მწუხრის ზარია,
მაგრამ იმედი სულს არ შორდება.
ოჰ, ყველაფერი ეს სიზმარია
და უფრო მეტად სული ლონდება.

რეო-ამონი.



წ ე რ ი ლ ი

მუდამ ქამს დაუვიწყარო და საყვარელო!

ჩემ საწოლ ოთახთან გავაშენე ბალჩა შენს სახსოვრად.

მას შემდეგ რაც დაგზორდი გულდასევდებული შევდივარ ყოველ-
თვის ბალჩაში და, როცა ყვავილ-თა თესლაობის ნიავი გადამიღელავს ყმა-
წვილობით აყვავებულ და ალელვებულ გულ-მკერდს, რომელშიაც, მესხე-
თის მაღალ მინდვრებზე გამოსულმა ივერიის მთვარემ ჩამაორთქლა თაფ-
ლის სურნელება, ქალწულის მღელვარებით ვეხუტები ოქროვან ვარდებს
და მაშვინ შენ გიგონებ ძვირფასად სახსოვარო.

მხოლოდ, როდესაც ქარი აჭრიალებს ბალჩაზე დაკიდებულ ჭიშ-
კარს ღრუბლებიან დამეში—მე შენ მოგელი.

გუშინ როდესაც მეწვია საღამო შიშველ მოსასხამში, შევაღე ბალჩა-
ში ჭიშკარი და შევაცემერდი ცა.

ო, რა ტკბილია მშობლიური ცა მყუდროობაში...

დავივიწყე სუყველაფერი და მე შენ მოგიახლოვე.

მინდოდა გამეგო: დაიწვა თუ არა შენი გული!

თუ შენს სხეულში კვალად გიზგიზებს ჩვენი სიყვარულის კოცონი.
(შენ ხომ არ მომწერე რო მცოდნოდა, და).

შვენი სული საქართველოს მატიანეა, რომლის ქარვისფერ ფურც-
ლებში შრიალობს საუკუნოები.

მერე იცი რა სწერია იქ?

ჩუ... ჩუ... რება სანატრელო, ეს ვენახიან კოლხეთის ძველი საიდუმ-
ლოებაა, არავინმა მოგვპაროს.

შე შაშინ გავიმხელ მას, როდესაც ყვავილოსან გაზაფხულით აწვირ-

თებულ ჩემს უბეზე დავხრი შენს სახეს.

ნიაგმა ღრმად ჩასო ტუჩი გარდის კუკურში და ოქროვანი ფურცლები აუფართქალა. შემდეგ, მოსრიალდა და შეარჩია ჩემ სხეულზე ჩამოძინარი ხაზები. გამოვერვით. სახსოვარ ბალაში ვიჯექი და კვლავ ცას შეესცეროდი.

ო, რა დამტკბარია მყუდროობაში მშობლიური ცა...

როდესაც ბალჩიდან გადიოდი. ჭიშვართან ორი ცრემლი დაგივარდა.

იტირე... იტირე, სანატრელო; სიყვარულისათვის ცრემლები ფას- დაუდებელი მსხვერპლია.

დედა თბილისის მყერდზე მიაბჯინე მუხლი.

ტაბახმელას ქედზე შესდგი მყერდი შენი, რომელიც მედგრად შეა- ტაკ მოსულ მტერს... და გაანადგურე იგი. იმ გრძნობამ შეიპყრო შენი მხრები, რომელიც ცხოვრობდა ჩენს წინაპრებში წინად. თეთრ ხმალს რომ უშიშრად ალმართავდა, ხოლმე, მძღვანელი რა ბედნიერი ხარ რომ იხილე ჩენი წინაპრები, სამარადისა დუმილი რო დასწოლია დღეს მათ ცხოვრებას.

შენი ვაეობა შეიქნა მარადისი და ამ უკვდავებაში შეგიყვარე შენ.

გარდის უბანის ქუჩაზე მოვიჩქაროდი შესახვედრად, როცა მჩე- იუნგრებმა ჩამოიარეთ მახლობლად.

მოუკლავი წყურვილით აგედევნე უკან. ვედარ შევხვდით ერთმა- ნეთს... შენ გამშორდი.

ჩემი საწოლ ათახთან გავაშენე, შენს მოლოდინში, სახსოვარი ბა- ლჩა და მოვრწყავი ცრემლებით.

უნდა ვიტირო... უნდა ვიტირო სანატრელო: სიყვარულისათვის ცრემლი ფასდაუდებელი მსხვერპლია.

მტერმა დაიპყრო ჩენი სამშობლო და ვნება-ატეხილი მოზვერის ზმულილით დამიწყო ძებნა ყველგან. მშიერი ვნებით უნდოდა ხელში ჩავეგ- დე უნაზესა მხევალთა შორის.

მესხეთის გრძელმა წვიმებმა განბანა ჩემი ტანის მზიური ნაკვთები. წითელი მცხუნვარების ქვეშ გამევსო ტკბილით, ათრთოლებულ მკერდზე, თაფლა მტევნების კუმპლები. და ჩემი ქალწული მყერდით შევუერთდი ქართულ დედა მყერდს, რომელსაც შეარხევდნე ჩენი წინაპარი დედები თა რომელმაც მისცა სიცოცხლე ჩენს მოდგმას და სილამას ქართულ ჯიშს.

ჩერი სიქალწულე შეიქნა მარადისი და ამ უკვდავებაში შემიყვარე შენ ამიტომ უნდოდა მტერს ჩაეგდო ხელში ჩემი სიცოცხლე.

მაგრამ არასოდეს — არასოდეს.

დღეს სანაგარდო გაზაფხულმა ამაყვავა და ამამლელვარა სამაისო ქალაქში.

ვერასოდეს ვერ ელირსება...,

მთების მწვანე უნავირ წამოდგმული, მკერდ-გამეხებული მომსკდარა

რიონი, სახლაპრო პირ-თეთრი ცხენივა-თ, რომლითაც შევქროლდები კლასი
ხეთის დაცემულ ველებზე.

ჩვენ უკვდავებაში შევიყვარეთ ერთმანეთი, ჩემო საყვარელო და სა-
ნატრელო...

კლარა მესხი.

ნაქალაქევი, 1928 წ.



ნაწყვეტი

1921 წელი. ზაფხულის მიწურული. რა კარგათ მახსოვეს ის მხარე, სა-
დაც თავდება შავი ზღვა და მისი ლურჯი ანგარა წყალი პოულობს გამო-
სავალს ბოსფორში! იქვე აშვერილ წალკოტზე მჯდარი, რამდენჯერ გავ-
ყურებდი შავ-ზღვას, თითქოს მსურდა, აქედან ასეთ სიშორიდან, დამენახა
ჩვენ მიერ მიტოვებული მხარე! და როგორ მთელი მკერდით შევისუნთქა-
ვდი ხოლმე, ქარის მოტანილ ჰაერს, ისე მოწყორებული, ვინდლო-იქნებ ამ
ქარში საქართველოდან მობერილი ჰაერიც იყოსთქო...

აღმოსავლეთის მშე ათასფერად აელვარებს ბოსფორის წყარათ მო-
შრიალე ზვირთებს.

ნაპირებიდან გადმოშვერილ ზარბაზნებთან, თუ იქვე მოშორებით,
მწვანე მდელოზედ, ან ასკერთა ყოფილ ყაზარმაში ყველგან შეამჩნევდით
ახალგაზრდათა პატარ-პატარა ჯგუფებს; ზოგიერთი მათგანი, რაღაც აღ-
ლვებული, გაბრწყინვებული თვალებით ლაპარაკობდა, ზოგი მოწყენილათ
შეცყურებდა თავის მეგობარს; ზოგნიც ნალვლიანათ ეროვნენ მათ მუსა-
იფში. რა მოხდა ნეტავი? რამ შესცვალა ამ ახალგაზრდობის გასაოცარი
და ლამაზი ცხოვრება? რა იმედი მიეცათ აღზნებულთ! და რა სევდა და-
აწეა ზოგ მათგაას? ვინ არიან ეს უცხო ზაბუკები ამ შორეულ ნაპირებზე
რომ მისულან? იმ წუთას რომ მათთვის გეკითხათ, უთუოდ თვითონ ვერ
გიპასუხებდნენ თუ რათ მოსულიყვნენ იქ...

მოძრაობაში და მიმოხვრაში აშკარათ ემჩნებათ სამხედრო ქცევა.

ბეიუკ-ლიმანი—აი სად იყვნენ ეს ახალგაზრდები. აქ შეეფარათ თავი
ქართველ გადმოხვეჭილთ რომლის უმრავლესობას შეადგენდა იუნკრობა.
იმ დღეს გამოირკვა რომ იუნკრების ერთი ნაწილი მიღებულ იქმნა საბე-
რძნეთის მთავრობის მიერ სამხედრო სკოლაში. მაგრამ... მხოლოდ ნაწი-
ლი. მაშ ბადი სწყვეტს, რომ უნდა გაშორდნენ ერთმანეთს საუკეთესო შე-
გობრები, უნდა მანძილმა გასწყვიტოს ის ძმობის ძაფი, რომელიც გაიძა
მათ შორის ბრძოლის ველზე—საშინელწამებში, თავდავიწყებით, მამულის
სამსახურით გატაცებაში. .ძნელია, ძნელი ამ შემბოჭავ გრძნო. ბათა ახსნა-

გადმოცემა, მხოლოდ მაშინ მძიმე დუმილი მართლაც რომ ბევრის მოქმედი იყო...

შორდებიან ერთმენტოს და მათი ცხოვრება უზრუნველყოფილი იქნება, ამასობაში კი უნდა ელოდოს იმ დროს, როდესაც ერთხელ კიდევ დაამტკიცებს თავის მამულიშვილობას.

მაგრამ ისინი რომლებიც რჩებიან? რა მოელით მათ? და სად გადაის გარის ბედი?

როდის შეხვდებიან ერთმანეთს და შეხვდებიან-კი? ვინ იცის. და ამ-იტომაც სევდამ აუწვა თვალები, მათ გულს მოაკლდა რაღაც ძალა....

ეს ჯგუფები, შეკრებილი სხვა და სხვა ადგილს, მსჯელობდნენ კაზათობდნენ, არვევდნენ ვინ მოხვდა სიაში, ვინ უნდა წავიდეს, ვინ რჩება და ათასი სხვა....

განვლო რამოდენიმე დღემ. სალამო კამია. მზის წითელი რგვალი დისკო დააწეა შავ ზღვას. რა თვალ წარმტაცი სურათია!... მთელი ბანაკი მოძრაობაშია. აგერ მაგიდებს ამჭრივებენ. იქ ბუფეტი იმართება. იქით რამოდენიმე ახალგაზრდა გართულა ცხვრის ოთხში ამოღებით. ყველგან მხიარულება სუფევს, ხან-გამოშვებით სალამოს ბინდს არღვევს რომელი-მეს გულიანი სიცილი. ყველა იღებს მონაწილეობას სამზადისში. ვის უმართავენ ამ ლიზინს? ეს საბერძნეთში მიმავალი იუნკრები ეთხოვებიან მათ, ვინც ეგრე ძვირფასია მათთვის აქ უცხოეთში—ნათესავთ მოშორებულნი. მაგრამ ქართველი ხშირად არ ემორჩილება სევდას, დარდს, ლხინობს გლოვის დროსაც და დღეს უნდა ილხინონ; ვინ იცი, იქნებ ეს უკანასკნელი იყოს ზოგიერთებისთვის..,

სიბნელით მოცულ ბოსფორზედ გამოჩნდა პატარა ლამპარი. იგი ჩვენსკენ მოეშურება, თან და თან დიდება, უფრო და უფრო ნათლად მოსჩანს. ეს, მეორე ხაპირიდან იუნკერს გადმოჰყავს ჩვენი უფროსი - ისიც ესწრება გამოსათხოვარ ლხინს.

«მოღით ძმებო, დღეს ყველანი ერთად ვიყოთ, ერთი გრძნობით აშლილნი... ამდენი მეგობარი, ამდენი ქართველი უნდა მივატოვო ხვალ გან-თაღიედ, და უნდა შევსცურდე უცნაურ ფიქრებით უცხო მხარეში...»

გემზე ვართ. ბოსფორი ატორტმანდა და პატარა ნავებს არც ისე ეა-დვილებათ ჩვენამდე მოლწევა. გამოვგაცილეს, ზოგნი ნაპირიდან უცქერის ჩვენს ძალის გამოსახულის, ზოგმა გემამდე მოვგაცილა. გაისმა წასვლის ნიშანი. ყველანი ძლიერმა გრძნობამ შევვიძყო, ბევრის თვალები ქამიაცხელა. მშვიდობით ყველავ.., ნახვამდის თავისებურო მშვენიერო სტამბოლი...

უფრო კშორდებით სამშობლო მხარეს...

მეგობრებო, წერილები, იცოდეთ ხშირათ მოიწერეთ. კიდევ მშვი-დობით...

მუსტაფა



იუნგერის დღიურიდან

ზაფ-ჩეკა

მერვე დღეა რაც გამოვაცხადე შიმშილობა. დამეა. წყურვილი მაწუ-
ხებს. ნერავი მაინც მაღლე გათავდებოდეს ყოველივე. ჩემს ოთახში შემოი-
ტანეს გამხდარი, გაფიტრებული კაცი – საცვლებული, ფეხშიშველა. შემოი-
ტანეს ოთახში და დააგდეს იატაკზედ. დავაცქერდი კარგათ და ვიცანი; ეს
იყო ნიკო ზანდუკელი. ის გრძნობა დაკარგული გადმოიყვანეს ციხისსავად-
მყოფოდან. რისთვის? თვით გრძნობდა, რომ რაღაც უნდა გადაწყვეტი-
ლიყო. თითქმის დარწმუნებული იყო, რომ დახვრეტინენ, მაგრამ მაინც....
მაინც იმედი კიდევ ისმოდა მის კილოში, როდესაც მეკითხებოდა – „დამ-
ხვრეტენ, არა?“ მითხარი... მე თვით შიმშილისაგან ძალზე მისუსტებული
ვიყავი, ნიკოს ამ მდგომარეობაში ნახვა და ჩემი გამოურჩეველი მდგომა-
რეობა სულ მიკარგავდნენ აზროვნების ძაფს.

ვამშეიდებდი როგორც შემეძლო; ბოლოს მოვიკრიფე მთელი ნების-
ყოფა და გავიხსენე გიგო ხიმშიაშვილის მიერ ჩემს სატუსალა ითახის კე-
დელზე დიდი ასოებით წარწერილი სიტყვები:

„საკანო მცირე, რამდენ გრძნობების ხარ დამსახველი,
რამდენი ქართულ დატანჯულ გულის და აზრთა მცველი,
შენში ცხოველობს ჩვენი წამება უკანასკნელი
და აქ მოისპო ჩემი სიცოცხლე აუტანელი“.

და იქვე:

„შიში ვერ ახსნის სიკვდილსა,
ცუდია დაღრეჯილობა“.

შაკითხვის შემდეგ ვიგრძენი, თუ როგორ მოემატა ნიკოს ძალა და
გადაწყვეტილება. ამ დროს მომესმა ფეხის ხმა და თანაც ელექტრონის სი-
ნათლემ გაანათა ზაფ-ჩეკის ეზო, სადაც ჩემარი ნაბიჯით შემოვიდა ციხის
ზედამხედვებით კომენდანტთან ერთად და მიაშურეს კამერა № 1-ს, რომელ-
შიდაც იჯდა გენერალი ანდ ანონიკაშვილი.

„მოქალაქე ანდრონიკაშვილო, ადექით დაკითხვაზე“ – გაადვინა ზე-
დამხედველმა. მე შეჩერებული სულის თქმით მივეყრდნე კარებს და უს-
მენდი ჭურ ჭუტანიდან. ნელა, გაბრწყინვებული თვალებით მოდის გენ.
ანდრონიკაშვილი, როგორც ყოველთვის, ეხლაც ჩემს კამერასთან გავლი-
სას, მომიბრუნა სახე და ჩვენი თვალები შეცვდნენ ერთმანეთს... მისი ჩაფი-
ქრებული სახე შეიცვალა სევდიანი ლიმილით და თითქოს თავისთვის ჩუ-
მად ჩაილაპარაკა...“

„მოკითხვა ყველას... მშეიდობით ჩემთ კარგ იუნკერო...“.

და იმავე ნელი ნაბიჯით, თავ-ალერილი განავრძო გზა. რამოდენიმე შუთის შემდეგ შემობრუნდა კომენდანტი ზედამხედველით და მიადგნენ მერა N° 6-ს; გამოუძახს დაკითხვაჲედ. დინჯათ, წვერებ შეტრდილი, რო-მელიც უფრო ააშკარავებ ა მის ლამაზ სახეს, გამოჩნდა კაპ. მიტო ჩრდი-ლელი. გამხდარი—ხალათის გასწორებით, დადგა ჩემი კარების წინ გაუბე-დავათ; შემდეგ, მტკიცე გადაწყვეტილების მიღებით, სწრაფათ მობრუნდა და ალელვებული ხმით ხმა-მალლა წიმოიძახა: „უთხარი მათ, რომ მე დამ-ხვრიტეს; ვკვდები როგორც შეშვენის ნამდვილ ქართველს“... მაგრამ ამ დროს დარაჯებმა სტაცის ხელი და სწრაფად გაიყვანეს. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ შემობრუნდა კომენდანტი მხლებლებით და მიადგა კამერა N 5-ს. „ისევ დაკითხვა... რა დროს დაკითხვა ოხრებო!...“. ამ სიტყვებით პოლკ. მაჭავარიანმა დაიწყო ნელა ჩატმა ბუზლუნით და თან ერთ-ერთი მარში და-უსტვინა. „ჩარა, ჩერა“, უძახოდა კომენდანტი. „რას ნიშნავს ჩერა—ოხ-რებო; მოიპადეთ და ნახვთ...“; კომენდანტმა უბრძანა მცველებს გამოეყ-ვანათ; მაგრამ პოლკ. მაჭავარიან, თვით გამოვიდა: „აი მზათ გახლა-ვართა“ და მარშის სტვენითგაემართა კარებისაკენ დარაჯების თანხლებით.

„ნუ იყურებით დარაბიდან“ მიყვირა ზედამხედველმა ნაგანის დალი-რებით. მივბრუნდი და შევხედე ნიკო ზანდუკალს—თვალებ გადიდებული მიშტერებოდა ის პირდაპირ კედელს. მივედი გადავეხვივ, და ჩუმი ხმით ვამხნევებდი და ვანუგეშებდი. მე იმ წამს შემიკურო სიმშვიდემ და ენტუ-ზიაზმა; მხოლოდ დრო გამოშვებით, თავში გავლილი აზრი თმას ყალყშე მიყენებდა და ცივ ოფლს მასხამდა. შიშია ეს, ნეტავი, დახვრეტის წან?... მერე როგორ მსურდა სიცოცხლე, თუ გინდ ამ ბნელ, აქოთებულ და საში-ნელ საკანში, რომელიც ასე მომხიბლავათ მეჩვენებოდა იმ წუთს.

გაიხსაურა გასაღებმა, გაიღო კარები და შემოვიდა ორი ზედამხედ-ველი კომენდანტთან ერთად. გულის ცემა შემიჩერდა... კიდევ ერთხელ თვალ-წინ წარმომიდგა ახლობელთ სახეები. შემოვიდენ თუ არა, ავდექი და მივეყუდე კედელს. ძალან ძნელია გადმოცემა იმისა თუ რას ვგრძნობ-დი ემ დროს. უმოძრაობამ შებოჭა მთელი ჩემი სხეული... ,ხ-ლი და ზარ დუჭელი გამოიყვანეთ“ დაიძახა კომენდანტმა და ცოტა შეხვრების შემდეგ დაუმატა— „დაკითხვაზედ“. როდესაც ერთ-ერთი ზედამხადველი მომიახ-ლოვდა და ხელი მომკიდა, გამოვერკვივი - დამიბრუნდა მედგრობა. ამ უკა-ნასკნელ წუთებში არ მინდოდა მეჩვენებია ჯალათებისათვის ჩემი სისუს რე. „გამიშვით ხელი, მე თვითონ შემიძლია გამოვყეფ“ უყვირე მე, და სუსტი ნაბიჯით (8 დღის მოშიმშილე) გავსწიო კარებისაკენ მომესმა ნიკო ზანდუკალის კვნესა, რომელიც მე უძახოდა. კარებთან შევრჩდი, შემოვ-ტრიალდი და დავინახე—ორ ზედამხედველს შუა, საცვლებში, ფეხ-შიშვე-ლა, ძლივს მოსიარულე, თითქმის ნახევრად წელში მოკეცილი ნიკო. „და-კითხვაზე, დაკითხვაზე“ მაშინალურად იმეორებდა კომენდანტი. ვერ მოვი-თმინე ამრს დანახვა, ჩემ და უნებლიერ მოვბრუნდი ჩერა და გადავეხვივ ნიკოს, თანაც ვეუბნებ დი— „მაგრად იყავ ნიკო, ნუ გეშინია, დაკითხვაზე მივდივართ“. არ დამაცალეს მცველებმა და წინ გამიგდეს.

დერეფნის ბოლოში ლანდებივით მოსჩანდნენ კოტე აფხაზი და ვარ-
დენწულუკიძე. გარეთ გასავალთან კომენდანტმა ხელ-მეორეთ გადაიკითხა
სია. „თქვენი გვარი ხ-ლი არა? — დიახ!“ უპასუხე მე. „თქვენი სახელი?“ —
ალექსანდრე, მიუგე მე. კომენდანტმა შეიგინა და უბრძანა ზედამხედველს
წავეყვანე უკან. ვიდევი ისე, რომ აღვილიდანაც ვერ ვინძრობდი. გონჩე
მომიყვანა სატუსალოს ეზოში ამტყდარმა ყვირილმა — „გაუმარჯოს ჩვენს
სამშობლოს“ — „მშვიდობით ძმებო! გვევრეტავენ ამაღამ...“ ხმა-მაღლა
ყვიროდა ს. ბაგრატიონ-მუხრანი, და მის სიტყვებს მოჰყვა იას. კერძესელ-
ძის მძღავრი ხშით დაწყებული „დიდება“ რომელსაც აპყვნენ სხვებიც. მე
ვიდექი კარებთან ამღვრეულ თვალებით და სულ ვცახსახებდი. ავტომო-
ბილის მოტორის ხმა იქაურობას აყრუებდა. „არიან კიდევ — ვინც გადა-
გიხდიან ჩვენი სიკვდილისათვის, თქვენ სისხლის მსმელებო!“ მომესმა სა-
იდლანაც, როგორც ვისანი, ეს ხმა უნდა ყოფილიყო გ. ხ-ლის; თუმცა მას
ვერ ვხედავდი, რადგან ხმა მოდიოდა იმ მხრიდან, სადაც ხდიდნენ და ბოჭა-
ვდნენ სასიკვდილოთ განწირულთ.

ალ. ხ-ლი.



სამხედრო ხვილა.

14 სექტემბერს 1919 წ. გახსნილი იქმნა თბილისში საქართველოს სა-
მხედრო სკოლა, ამ ფაქტმა სულ მთლიან შეუმჩნევლად გაიარა ქართველ
ფრთო საზოგადოებისათვის, და მხოლოდ ვიწრო სამხედრო წრემ იცოდა
მისი არსებობა. ქართული საზოგადოება მაშინ თავს ამილიტარულად სთ-
ვადა და სამხედრო სკოლის გახსნა ღირსშესანიშნავ მოვლენად არ მია-
ჩნდა. მაგრამ ეს არ იყო სიმართლე. პატარა ერს. რომელმაც თავისი მრა-
ვალ-საუკუნოებრივი არსებობა მხოლოდ მახვილით შეინარჩუნა, არ შეი-
ძლება რომ არ უყვარდეს მხედრობა, და მის შეფასებას ვერ ახერხებდეს,
ეს მხოლოდ მახინჯ ახლობელ წარსულის შედეგი იყო. რამოდენიმე თაო-
ბის განმავლობაში ქართველს მხედარი ევლინებოდა ჩვენში საჯავრელ კა-
ზაკის ან და «ცნობილ» პრაპორშიკის სახით, რომელთაგანაც არაფერ კა-
რგს არ მოელოდა.

აქედან მას ჰქონდა შექმნილი წარმოდგენა საერთოდ მხედრობაზედ
და ამიტომ არ იყო გასაკვირელი თუ იგი თავიდანვე მოვლენებში ვერ გა-
ერჩეოდა და ამ სათვალეებითვე შეხედავდა საკუთარ მხედრობასაც. ამის
შედეგი იყო, რომ არც პირველ ქართულ სამხედრო ნაწილების და არც სა-
მხედრო სკოლის დაარსებამ ხალხში არავითარი ენტუზიაზმი არ გამოი-
წვია.

ამ პირობებში დაიწყო არსებობა სამხედრო სკოლამ, სულ შეღიწევა
დი და რამდენიმე თვე იარსება მან საქართველოში, მაგრამ ამ მოკლე
ხანში დაამტკიცა, ორმ სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზედ, ურყავ-
ლათ დახალისიანათ ასრულებს თავის მოვალეობას და მთელი თავისი არ-
სებით წარმოადგენს ტრადიციულ ქართული სულით ალფროვგანებულ
სამხედრო ერთეულს.

1 მაისი 1920 წ. 16 მაისი 1920 წ. 9 ივნისი 1920 წ. 19, 20, 21 და 24 თე-
ბერვალი 1921 წ. აი ის დღენი, როდესაც თავის მოვალეობის შეგნებული
შესრულება ცხად ჰყო მან ფაქტებით და არა ჩვენში ხშირათგავრცელებუ-
ლი «მჭექარე» სიტყვებით.

რა გააკეთა სკოლამ ზემოლ აღნიშიულ დღეებში? არაფერი არაჩვე-
ულებრივი, მხოლოთ თავის მოვალეობა შეასრულა ისე. როგორც უნდა
ასრულებდეს მას ყველა სამხედრო ნაწილი და თუ ეს არაჩვეულებრივ მო-
ვლენათ იქნა ცნობილი, ქართლის უბედურება იქნებ ამითაც აიხსნებოდეს.

1-V-1920წ. ბოლშევკიურ ორგანიზაციამ თბილისში პოლიტიკურ
გადატრიალების მოწყობისთვის პირველ მიზნათ სამხედრო სკოლა დაისა-
ხა. ეს არჩევანი არ იყო შემთხვევითი, მაგრამ მოსტუკვდნენ. სამხედრო სკ-
ოლა თავის ალაგზედ ფხიზელ გუშაგათ დახვდათ და ცდა ს ქართველოს
შინაურ გადატრიალების კომედიის გათამაშებით, უნაყოფოთ ჩატარა.

17-V-1920წ. სკოლა გაგზავნილ იქნა აზერბეიჯანის ფრონტზედ, მაგ-
რამ ზავის შეკვრამ მოუსწრო და სამხედრო მოქმედებებში უშუალოდ მო-
ნაწილეობა არ მიუღია.

16-VI-1920 წ. სკოლა გაგზავნა ლაგოდებში. ამის შემდეგ სკოლის
ცხოვრება დაწყნარდა და თითქმის მშვიდობიანათ მიმდინარეობდა.

11 თებერვალს 1921 წ. დაიწყო რუსეთ საქართველოს ომი. ბრძოლის
ველიდან ცუდი ცნობები მოდიოდა, სკოლის ფანჯრებიდან თბილისი შე-
მკრთალადა სჩანდა და სასწავლებლის კედლებში ჩუმი წუხილი სუფედა.

სჭექდა მუსიკა, რუსთაველის ქუჩა ხალხით იყო გავსილი, ისმოდა
მრავალი ტაშის ცემა და ვაშას ძანილი. ღრუბლიანი ცა გაიხსნა და მხებ
უკანასკნელათ ალერსიანი სხივები გადაავლო პარლამენტს და მის წინ მი-
მავალ სამხედრო სკოლას. ჭალარ-აშლილი თბილისი ყალყუჩედ იღვა და
მისი მაჯა აქაარებით სცემდა, სკოლამ გაიარა 26 მაისის ქუჩა და სოლო-
ლაკისაკენ გაუხვია; მიდიოდა გზით, ქართლის მხედრობისათვის კარგათ
ცნობილ გზით, რომლითაც არა ერთხელ გაევლო ქართლის ლაშქარს, ამა-
ყათ ბრძოლის ყიეინით, დიდებისაკენ მისწრაფებულს სიმღერით.

«ვისაც მოუკლავს ის მოპერავს

ნადირსა შავის ტყისასა

ვინც დახვედრია დახვდება

მტერთან გულით გულ ბრძოლასა.»

სამხედრო სკოლა მიდიოდა ფრონტზედ. იყო 17-II-21წ. მიიღო მონა-
წილეობა ბრძოლაში 19, 29, 21 და 24 თებერვალს, სოფელ ტაბახმელის გა-
რშემო.

მძიმე დღე იყო საქართველოსათვის 24 თებერვალი, უმძიმდა იგი საქართველოს მხედროვი სკოლასაც, ქარის აკრეფილი ნამექერი სევდიან ფარდათ იშლებოდა, და ბურუსინ სივრცეში, მისუსტებულმა მტერმა სალამოთი იერიშებს თავი დაანება და ბრძოლა მინელდა, მხოლოთ დრო გამოშვებით ალაგალავ ასტყდებოდა ხოლმე სროლის ქარიშხალი, ნალვლიანათ ჭუოდა ქარიშხალი გათხელებულ იუნკერთა შარში, სევდის მომგვრელ სიმძიმით, დამდებოდა 24 თებერვალი, თბილის ეჭერა მეორე დღეს კომჩეის შვილთა მძიმე ხუნდებში გადვიძება. 28 თებერვალს სკოლამ მიიღო მონაწილეობა პატარა ბრძოლაში გორთან, საიდანაც დაიხია ხაშურში და შემდეგ ბათუმში. ბათუმი იქმნა დატოვებული 17 III-21 გარე შემომთებზედ დროგამოშვებით ზარბაზნები გრიალებდნენ, თვით ქალაქში ხშირი სროლა ისმოდა, ნავთსა-დგურში რამოდენიმე გემი იდგა. ორი საათი იყო. ბათუმის ქუჩებში უკვე კარგა ხანი დაპქროდა ავტომობილი ჭითელი დროშით, ქალაქი განწმენდილი იყო ქემალის ასკერებიდან და მათთან ბრძოლა მხოლოთ ფრონტებზედ სწარმოებდა. მთავარ-სარდალი, რამოდენიმე იუნკერით განმანადგურებელ ტარიელზედ უცდიდა უკანასკნელ ცნობას ნაპირიდგან.

ქალქში ხელ-ახლად გაძლიერდა სროლა, მახლობელ ქუჩებზედ ნავარდით მიჰქონდა რალაც ცხენოსანი ნაწილი, ნაპირზედ მოძრაობა შეიქმნა. სწორეთ ამ დროს მოადკა სანაპირო ბაქანს იუნკერი თ. მოიტანა უკანასკნელი ცნობა.

ცოტა ხნის შემდეგ, შორეულ ბურუსს ეფარებოდა ბათომი, გემის ბაქანზედ მოსჩანდნენ იუნკერი, რომელიც სასოწარკვეთილ სიჩუმით გასცემოდნენ სამ მობლოს უკანასკნელ ნაკუჭს, საიდანაც ზარბაზნების მძიმე გმინვით მოისმოდა უკანასკნელი აკორდი ქართლის ტრაგედიისა. გემი ნელ-ნელა მისცურავდა, და სამშობლოს უკანასკნელი აჩრდილი ნელ-ნელა იფერფლებოდა, პქრებოდა ნადვლიან თვალთახედვიდან. სად მიდიოდნენ იუნკერი? რა იცოდნენ! მხოლოთ აქ, აქ საქართველოში, სადაც ახლათ დაადგა ჩექმა რუსეთის ჯარის-გაცმა აღარ შეეძლოთ მათ ყოფნა. ხოლო რა იქნებოდა წინ, მათ არ აინტერესებდათ.

დღეს უკავეთში რამოდენიმე სახელმწიფოში ვართ გაფანტული. ჩვენი ისედაც ნაკლები რიცხვი, უფრო შემცირდა, მკაცრმა სიკვდილმა ულმობლათ წილი თავისი ბეგარა ჩენ მწკრივებიდანაც, მაგრამ სადაც არ უნდა ვიყვნეთ გაფანტული, მკვდარნი თუ ცოცხალი, დაწყობილი ტაბახელის ველზედ დაცემული გმირებით და გათავებული სუსტიან ჩრდილოეთის ყინულებში გაბნეულ იუნკერთა საფლავებით, სულით და გულით მაინც ერთ სხეულს შევადგენთ, რომელიც შეთუდებული იქმნა ტაბახელის სისხლით და შებმული იმ ქართველთა იდეალთან, რომელიც თითქმის ამავე ველზედ შეეწირნენ მამულის დიდებას და რომელთა სახელითაც დღეს საქართველო მოითხოვს არსებობის უფლებას, და მისი სახელი იქნება მუდამ საქართველოს სამხედრო სკოლა.

ვ. ნა—ლი.





სამხედრო ხელოვნების განვითარების მთავარ სიძნელეს, წარმოადგენდა ის გარემოება, რომ კაცობრიობასა არ შექმნო რომელიმე სარდლის დირსებათ სიმაღლის გამოყენება და მათ პიროვნებათ განვითარების, სამხედრო მეცნიერების შინაარსათ ქვევა. თუ რომელიმე სარდალმა გამოიყენა ნიჭი სამხედრო სარბიელზედ, მთელი მისი მოქმედებანი, მის საკუთარ, საიდუმლო თი ლისმას წარმოადგენდა, რომელიც თან ჩაჰქონდა სამარეში და კაცობრიობისათვის მხოლოდ ბუმბერაზის შარავანდეფდას სტოვებდა. შემდეგი თაობანი, ახლათ უგზოოთ მიიღო ტვოდნენ, არავითარი საშუალება არა ჰქონდათ წასულ თაობის სარდალთა ლირსების და გამოცდილების გამოყენებისა, ვინაიდგან არ არსებობდა პრაგმატიული კავშირი ამ ხელოვნების განვითარებაში და მართლა გენიოსური ლირსება იყო საჭირო, რომ რომელიმე სარდალს ეჩინა თავი, რადგან საჭირო იყო ყველაფრის ახლად შექმნა და იმპროვიზაცია, მხოლოდ საკუთარი ნიჭით და გამჭრიახობით, ვინაიდან წარსული განუჭირერელ წყვდიადს წარმოადგენდა.

სამხედრო მეცნიერება არ არსებობდა, იყო მხოლოდ პატარა ანეგდოტები ბრძოლის სხვა და სხვა ეპიზოდების, პირად განცდათა დიდ ზედგავლინით შეფარდებული.

დაახლოვებით მე-19 საუკუნის საშუალო წლებში, ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოებში, დაარსებულ იქმნენ უმაღლესი სამხედრო სასწავლებლები, რომლებიც სხვათა შორის შეუდგნენ. ისტორიის გარჩევასაც, სამხედრო თვალსაზრისით და ძველი გამოცდილების სინათლეზედ გამოტანას.

ამ ფაქტის მნაშვნელობას ადვილათ შე აფისებთ თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერ ისევ მე-19 საუკუნეშივე, რადესაც ომების ბედს ევროპაში, თითქმის რომ ნაპოლეონის აღზღიული და თანამედროვე გენერლები განაცემდნენ, იგი ისტორიისათვის თითქმის რომ დაკარგული იყო. 1830-31 წლის რუსეთ-პოლონეთის და 1870-71 წლის საფრანგეთ-გერმანიის ომები, აშკარათ გამარტინებენ, რომ იმ პიროთ, რომელნიც სასოებრივ ლალადებით იყრიდნენ მუხლს ნაპოლეონის წინაშე და მის ხელქვეით წინაშე, საკუთარ ნაბიჯით ზომავდნენ მთელ ევროპას, მაღრიდიდან-მოსკოვიდან, ვერაცერი გაეგებოდათ ნაპოლეონის ომის ან ბიძოლის წარმოებისა. ნაპოლეონი მოკვდა. და თავის გამარჯვებათა თილისმა თან წაიღო, მის ბრძოლ თა გრიგორიადან გამოტანილი გამოცდილება იკარგებოდა ისევე, როგორც ეს ემსრთებოდა სხვა დიდ სარდალთა კლასიკურ მაგალითებს, და სამუდამოთ დაიკარგებოდა კიდევ, რომ მე-19 საუკუნის შეორე ნახევარს არ გამოეტანა იგი სამხედრო მეცნიერების კათედრაზედ.

დღეს სამხედრო მეცნიერების შესწავლა გავრცელებას ევროპა აწარ მოებს, და ნიადაგად მას ევროპის სამხედრო ხელოვნება უძვეს, ევროპას, ეკუთვნის პირველი ხმა ამ დარღმი, მაგრამ სდგას ევროპის სამხედრო ხელოვნება ამ სიმაღლეზედ? ამის პასუხს სამხედრო ისტორია იძლევა. თუ გადავხედავთ სამხედრო ხელოვნების ვითარებას წარსულ საუკუნეებში, დავინახავთ, რომ მას ორი მთავარი სარბიელი ჰქონდა და ამ ორივეს საკუთარი დამახასიათებელი თვისებანი და თავისებურობა ჰქონდა. იყო ეს აზია და ევროპა.

ამ ორ მთავარ შტოზედ ვითარდემ აზა ეს ხელოვნება, ორთავე მათგანს ჰქონდათ საკუთარი სტილი და ტრადიცია მოქმედებათ, რომელიც ერთი მეორისაგან ძირითადად განსხვავდებოდნენ. გადავათვალიეროთ ორთავე სახე.

ყველანი თანამედროვენი ვართ ევროპის დიდი ომის, რომლის ქარცებლის უშუალო გავლენას და შედეგებს ჯერაც არ გავშორებულვართ. რა სახე ჰქონდა მას? მილიონიანი ლაშქრები საზღვრიდან-საზღვრამდე იღვნენ ერთი მეორის წინ და რამოდენიმე წლით ომი უძრავ პოზიციურ ბრძოლის სახით გაიყინა, სადაც მთელ რიგ უშედეგო და უხეშათ შუბლიდან კვეთის გარდა არავითარ მოძრაობას არ ჰქონია აღაგი. იყო ეს უმაღლესი განვითარება, ჯერ ისევ მე-19 საუკუნეებულ და შეგინებულ კორდონის უხეშ სისტემისა, სადაც ევროპის მხედარს არაფერი არ სწამდა გარდა იმისა, რაც უშუალოთ ფრჩხილებით რ ეჭირა და რასაც წინ არ ედგა, როდესაც სამხედრო ხელოვნება იღებდა უმძიმეს და უხეშ სახეს. მით უფრო უმძიმესი იყო ამ კორდონულ ბრძოლის მეოსე საუკუნის სახე, რომ ომის ბედის გადაწყვეტი, სმთავარი სიმძიმე მებრძოლ მხარეთა ეკანომიურ ლირსებაზე უფრო იყო დამკიდებული, ვიდრე სამხედრო მეცნიერების სიმაღლეზე. დიახ! ძრ იერ ბევრი გასამართლებელი საბუთები აქვს ევროპის მარსის ამ აპელაციას ფაბრიკების საკვამლეების დაზიანების დაზიანების სიმაღლე, იარაღის სრულყოფილობა, ძალთა სიმრავლე და სხვა. მაგრამ ევროპისავე დღევანდელი სამხედრო ლიტერატურა სამარის სინათლით აღნიშნავს, რომ არ იყო ეს ერთ-და-ერთი გამოსავალი და შეიძლებოდა ამ ომის სხვა სახით გატარება, რომელიც ნაკლებ მსხვერპლს შეიწირავდა, საჭირო იყო მხოლოდ ელასტიური გონების ხელმძღვანელობა ომის პირველ წელს. ამის და მიუხედავათ დღესაც ევროპის სარდლობა, მომავალ ომის მოსაზრებებს „საშიშარ“ საზღვრების კილომეტრთა რიცხვის დივიზიებზედ გაყოფით უდგება, ე. ი. ისევ ის კორდონი რომელიც იწისლებოდა და იგინებოდა მე-19 საუკუნის დასაწყისიდან. თუ ცოტა უკან დავიხევთ, დავინახავთ რომ, არამც თუ ამის წინ მოეპოვებოდა ევროპას რამე დიდ ლირსებათა მქონე სისტემა. ამის წინ ჰქონდა მას მძიმე და უხეში ხუთგადასვლიანი სისტემა. მასაც უხვათ მოეპოვებოდა თავის არსებობის გასამართლებელი საბუთები - საწყობები აშენებულია, მათი აქცევა და სხვა მიმართულებაზე გადასვლა შეუძლებელია, ვინაიდგან უ ამ საწყობებოთ ჯარს არსებობა არ შეუძლიან, აუცილებელი იყო მათი დაპვა, ევროპაშ კი მხო-

ლოთ უშუალო დაცვა იცოდა; ყველა ეს პირობები ჰქონება ჯარის
მართვას და წინდაწინვე მოქმედებათა მიმართულებას, ამ საწყობებით ჯა-
ნიშულ ლიანდაგზედ ჰყინავდა, აქედან დაიბადა შიში, რომ მთელი ეს სი-
სტემა, საწყობების ესეთი დიდ ღირებულობის და ხანგრძლივ მუშაობის
შედეგი, ერთ წაგებულ ბრძოლის შემდეგ მტერს არ ჩავართნილიყო ხელ-
ში. ამის გამო დაიბადა ეკროპის მხედრობაში, მიზანი ბრძოლის თავიდან
აცილენისა, უშედეგო და უმნიშვნელო ტრალი ერთ ადგილზედ. „გარგი
სარდალი მთახერხებს ბრძოლის თავიდგან აცილას, ისე რომ იგი არც ერ-
თხელ არ აწარმოვოს თავის სიცოცხლეში“, აი მთავარი მცნება ეკროპის
მაშინდელი სამხედრო მეცნიერების. ეს ხანა ცხად-კყოფს, რომ ეკროპის
მაშინდელ მხედრობას არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა ომის სულ უბ
რალო აქსიომაზე, რომ ჯარისათვის მთავარი მიზანი მტრის ცოცხალი
ძალა და მისი მოსპობა და ამის ერთად ერთი საშვალება ბრძოლა. ყო-
ველი სხვა რამ იქნება ეს გეოგრაფიული პუნქტი თუ სხვა რამ ცენტრი,
მხოლოდ საშუალო ღირებულობის ობიექტს წარმოაგდენს. ეს დებულება
აზის მხედრობისათვის არასდროს არ ყოფილა სადაო ან ბუნდოვანი. რო-
გორც ხედავთ ამ ხანასაც აქვს თავისი გასამართლებელი საბუთი, რომე-
ლიც იმ დროს, მხედრობის თვალში, ამის სხვა გვარ წარმოებას ვითომ-
და შეუძლებლათ ხდიდა.

თუ კიდე უფრო უკან გადავავლებთ დროს თვალს, დავინახავთ,
რომ საშუალო საუკუნეების მხედრობა, მთელი ამ ხნის განმავლობაში
აწარმოებს ხანგრძლივ საალყო ბრძოლებს ციხეების გარშემო, რითაც
მტრის შიმშილით დასუსტება ბრძოლის უმთავრესი საშვალება ხდება.
ან ლაშქართა ველზედ შეტაკებას, როდესაც მთელი ბრძოლა, ერთი მეორის
პირდაპირ, ერთ ხაზათ ჩამწკრივებულ რაინდთა, სათითაო კინკლაციაში
გამოიხატება. ამ ხანაში არავითარი მანეჯრი ან რაიმე ნასახი სამხედრო ხე-
ლოვნებისა არ არსებობს, ამის გასამართლებელ საბუთად, ეკროპას ის
მოჰყავს, რომ იარაღი არ მოეპოვებოდა, რათა შესძლებოდა ნაყოფიერი
ბრძოლა მაშინდელ ციხე-სიმაგრეებთან.

ამას გარდა რჩება რომი და ძველი საბენენტი, რომელთა სიმაღ-
ლემდე ჯერ ეკროპა არ მისულა სამხედრო დარღვე. გარდა ამისა აღსანი-
შნავია, რომ ეკროპამ, მრავალ-მწკრივიან საბრძალი წყობილების შემო-
ლებით, ბრძოლის მთავარი სიმძიმე ცეცხლზედ გადაიტანა, ჯერ ისევ მა-
ზინ, როდესაც ცეცხლის საშვალებანი ძლიერ სუსტი იყვნენ, იმ დროს
როდესაც დღესაც, იარაღის დღევანდელი სიძლიერის მიუხედავათ, ან შე-
გვიძლიან ბრძოლის ამ საშვალებას უპირატესობა მივცეთ. ე.ი. ჯერ ისევ
მაზინ აიღო ხელი ეკროპის მხედრობამ, ბრძოლის მეორე ელემენტიდგან-
მოძრაობიდგან, რომელსაც შეუძლია უდიდესი შედეგის მც ტანს, და რო-
მელიც სარდლის მეტ გამჭრიახობას და ელასტიურ გონებას მოითხოვს.

ძნელი სათქმელია, აიღო ხელი ამაზე, ან საერთოდ ჰქონდა ამაზე,
მოძრაობაზე წარმოდგენა ეკროპას?, ვინაიდგან თითქმის მთელი ისტორი-
ის სიგრძეზედ ვხედავთ, რომ ეკროპამ არ იცოდა და მას აკლდა ბრძოლის

ამ მეორე ელემენტის მოძრაობის გამოყენების უნარი. თუ თვალსგადავაკე
ლებთ ევროპის მთელ ისტორიას, დავინახავთ, რომ ის ერთეულები, ევროპა,
პის სარდლობიდან, რომლებსაც პირველი ადგილი უკავიათ, აწარმოებ-
ლენენ მოძრავ ომს, რა ვერავითარი საბუთი და გარემოება ვერ პბორგავდა
მათ. ეს ცნობილი ევროპის სარდლები გვიმტკიცებენ იმას, რომ ევროპა-
ში დაც შეიძლებოდა მოძრავი ომის წარმოება. მაშ ჩას გვიმტკიცებენ ის
აუარებელი საბუთები, რე მლებითაც ევროპა ასაბუთებდა თავის, სხ. და სხ.
ხანის, სამხედრო დოქტრინას? მხოლოდ ერთ ჩამეს—ევროპის მხედრობა,
მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში, მოკლებული იყო მაღალ ღირ-
სების, ელასტიურ მეცნიერებას, გაყინული იყო არარეალუ უხეშ დოქტრი-
ნაზე, და მიუხედავათ იმისა, რომ თეორიულად უკვე შეიგნო და უკუაგ-
დო, მრავალ საუკუნოებრივი ფსიქოლოგიის მიერ ნაკარნახევი ყალბი დე-
ბულებანი, დღესაც არ არის თავისუფალი მათ უარყოფით გავლენისაგან,
და ატავისტური ინსტიტიტით მიიღოვის, საქმის იმავე სახით წარმოებისკენ.

რა ნიადაგზედ იდგა აზიის მხედრობა? ჩაჩქანი და მუზარადი აზიის
მხედრებსაც ჰქონიათ, გზათა ქსელი უფრო სუსტი იყო (რასაკვირველია
ეს არ უნდა გავიგოთ სიტყვის ეხლანდელი მნიშვნელობით, არამედ ბუხე-
ბრივ გეოგრაფიულ პირობებით, ასებულ ველების, ხეობების და ულელ-
ტეხილთა რიცხვის მიხედვით) და უფრო მეტად ბორკავდა ლაშქრის მო-
რაობას ვიდრე ევროპაში, ციხე-სიმაგრეთა სტრუქტურა უფრო ძლიერი
და დასრულებული იყა ვიდრე ევროპაში, ბუხება უფრო მეტის მნიშვნე-
ლობით ამაგრებდა ამ სიმაგრეებს ვიდრე ევროპაში, ციხე-სიმაგრის წი-
ნამდლდევ საბრძოლველი საშვალება აზიის მხედრობას შეუდარებლათ ნა-
კლები ჰქონდა, რიცხვით და ხარისხითაც, ისევე როგორც სურსათის სა-
ზიდი საშვალება, ყველა ამის და მიუხედავათ აზიის უძრავი ომი არა სწა-
მდა, და ბედს მუდამ ველზედ სწყვეტავდა. იქნება აზიას არ ესმოდა სიმა-
გრეების მნიშვნელობა და არ იცოდა მათი გამოყენება? არა, ამ სიმაგრე-
თა მდებარეობა, მათი ნანგრევების დუმილით, აშკარად ღალადებენ მათ
დანიშნულების სრულს უეგნებას, აზიაშიაც ძლიერ ბევრი იყო ციხე-სიმა-
გრე, ჩვენშიც, თითქმის ყოველი განმარტოვებული სახლი მოგერიების
ანგარიშით შენდებოდა, ამით აისხება, რომ კახეთში, ორ მეტრის სიმა-
ღლე ქოხს, თითქმის მეტრის სიგანე ქვითების კედელი აქვს.

მართალია, ველზედ წაგებუ ბრძოლის შემდეგ, ამ სიმაგრეებში
ძვირათ ჰყიდდა სიცოცხლეს სათითაო ქართველი, მაგრამ ამის და
მიუხედავათ, ყველა საშვალებას გაფატიცებით იყენებდნენ, რომ მტერს
ველზე დახვეცდროდა, და ბრძოლის ბედი იქ გადაეწყვიტა, ასე იქცეოდა
ყოველთვის აზიის მხედრობა, და ასევე იბრძოდა ყოველი ჩვენი თითო-
ბლივი სოფელი უხელმძღვანელოთ, საკუთარის შეგნებით, ლეგებთან
ბრძოლის დროს—„პარიქა ლევი მოსულა, სოფელ წინ დაუხვდეთ“ ამ
სიტყვებს ყველა ქართულ სოფლის ლექსებში და გამოცემაში ამოიკით-
ხავთ. მაუ სხანს, რომ აზიის სარდლობა და საერთოდ სამხედრო ხელოვ-
ნება შეუდარებლივ მაღლა იდგა ევროპის სარდლობაზე და სამხედრო
ხელოვნებაზე.

თუ განვიხილავთ საქართველოს სამხედრო ხელოვნების ვითარებას, დავინახავთ, რომ მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოს არასოდეს სამხედრო კერძონია გრძელი ხანა მშვიდობიანობისა, მაინც ისტორიის სხვა და სხვა მოყლე პერიოდებში, ახერხებდა თავის ეროვნულ პიროვნების სრულ სი-ლურების გამოჩენას. ასევე ხდებოდა სამხედრო დარღვიაც. აღსანიშნავია, რომ კავკასია, ისეთ გეოგრაფიულ კუთხეს წარმოადგენს, რომ ვერც ერთი სახელმწიფო, რომელმაც კი მიახწია პოლიტიკურ ძლიერების უმაღლეს საფეხურს, — მას გვერდს ვერ უქცევდა და ჩვენში მოდიოდა სწორეთ მა-შინ, როდესაც იგი თავის განვითარების უმაღლეს საფეხურზედ იდგა. ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა — სუსტი ერთეული ვერ მოახერხებდა ასეთ მნიშვნელობის ალაგის დაპყრობას, როგორიც კავკასიაა, და ჰკარგავდა კიდეც მას, როგორც კი პოლიტიკური ძლიერება შეუსუსტდებოდა.

ისტორიის ასეთი მსელელობა ჰქმიდა ისეთ პირობებს, რომ ქართველი მხედრობა მუდამ უშუალოთ ეცნობოდა, თანამედროვე უძლიერეს, და უკეთეს მხედრობას და სამხედრო ხელოვნებას. გარდა ამისა ქართველი მხედრები იბრძოდნენ აზის ყველა ქვეყნებში, მონგოლების, არაბების და სპარსელების ჯარში, ეს პირობები კი ჰქმიდნენ ისეთ გარემოებას, რომ ქართველი მხედრობა, ყოველთვის ძალიან ახლო ეცნობოდა სამხედრო ხელოვნების უმაღლეს განვითარებას.





შემდეგი დამახასიათებელი მოვლენა არის ის, რომ არც ერთი ერთი არ ყოფილა დაპყრობილი იმდენჯერ, როგორც საქართველო, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ყოველთვის ახერხებდა განთავისუფლებას, მხოლოდ ეს გარემოება ჰქმიდა ტრადიციებს, აჯანყებითი, კონსპირატიული ომისას. თითქმის ყველა ეს თვისება ქართველმა ერმა დღემდე უცვლელათ შეინახა. და არაფერი აზაჩვეულებრივი არ ხდება იმით, რომ დღესაც ევ-რობის სამხედრო მეცნიერებას ეცნობა ქართული მხედრობა, სწორეთ იმ დროს, როდესაც მას ეკუთვნის პირველი ხმა.

ქართული სამხედრო ხელოვნება, ჩამოყალიბდა და სრულიათ და-მოუკიდებელი სახე მიიღო, უკვე დავით აღმაშენებელის ხანაში. ხელშემ-წყობ პირობების გამო, საქართველო ამ დროს გაერთიანებული იქმნა, და დაედო საფუძველიც აქროს ხანას. დავით აღმაშენებელმა, დიდ პოლიტიკურ გამჭრიახობასთან ერთად, პირველ-ხარისხოვანი სარდლის ლირსება გამოიჩინა, მისი მოქმედებები ყოველმხრივ, პირდაპირ კლასიკურ მაგალითს წარმოადგენენ.

უპირველესათ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ დავით აღმაშენებელი ომს, მუდამ მოულოდნელათ იწყობს, და საომარ მხადებას ყოველთვის საიდუმლოთ ახერხებს. როდესაც თბილისის ასალებათ ჯარს ჰკრეფს, თი-თონ აფხაზეთში მიდის, ამ ამბის დასაფარავათ, და ამ ხერსს ხმარობს არა ერთხელ. ეს უკვე წინამორბედია გამარჯვებისა, ე. ი. მოქმედების მოულოდნელობის სრული გამოყენება.

ამ დროს საქართველოში შემოდებული იყო შემდეგნაირი ლაშქარ-თა წყობა — ჯარის დაახლოებით ერთი მეოთხედი ეწყობოდა წინ, მას ერქვა

წინა სპა. მთავარი ძალა ოომელიც შეადგენდა მთელ ჯარის ნახევარს, დგება წინა სპის უკან, გაყოფილი ორ ნაწილათ, წინა სპისადმი კიბულათ, მოწყობილი. ამ ძალის მარჯვენა ნაწილს ჰქვია „მარჯვიდან მიმსვლელ მცემელთა“ სპა. მცემელთა სპა, ხელ მარცხენას „მარცხნიდან მიმსვლელ მცემელთა“ სპა. მთავარ ძალების უკან, მის ორ ნაწილს შუა, ეწყობოდა მაშველი, ამ მაშველებში იმყოფებოდა, უმეტეს შემთხვევებში მთავარ-სარდალი. ამ ნაწილს ერქვა როქის სპა.



- 1) წინა სპა;
- 2) მარცხნიდან მიმსვლელ მცემელი;
- 3) მარჯვიდან „ „ „
- 4) როქის სპა;
- 5) მთავარ-სარდალი.

რა ღირსებები აქვს ამ ლაშქართა წყობას?

1) ჯარი ყოველ-მხრიდან დაფარულია, და მისი სრული დაზვერვა თითქმის შეუძლებელია;

2) რა მხრიდანაც არ უნდა მოვიდეს მტერი, თითობლივ ნაწილთა მხრის შებრუნების შემდეგ, ძალთა განწყობილება უკვე მზათაა;

3) წინა სპა შეადგენს მთელ ჯარის მეოთხედს, ეს ისეთი რიცხვია, რომ მას შეუძლია ბრძოლა იმდენ ხანს, რომ მტრის ძალები და მთავარ შეტევის მიმართულება მუდამ გამოარკვიოს;

4) წინა სპას ორთავე ფრთა რადიკალურათ უზრუნველყოფილი აქვს ე. ი. მტერი მას ვერ მოსპობს;

5) ყველა ამის გამოკვლევის შემდეგ, სარდალს ეძლევა საშვალება და დრო, მიმართოს თავისი მთავარი ძალები იქით, საითაც უფრო საჭიროა, მთელი $\frac{3}{4}$ თავის ლაშქრის, მტერთან ჯერ სრულიათ შეუბმელი და თავის სრულს განკარგულებაში ჰყავს.

შეუძლიან ერთ-ერთ მიმსვლელ მცემელთა და როქის სპასთან ერთად, თავის ძალების სრულ ნახევრის ამუშავება, გარდა ამისა ძალების ერთი მეოთხედი შერჩება მაშველში. მაშასადამე, როგორც მოგერიების ისე შეტევის წარმოებისას მთავარ სარდალს აქვს საშვალება მტრის ძალების და განზრახვის სრული გამორჩევის და ამის შემდეგ აქვს მას კიდევ შესაფერისი დრო და სივრცე სათანადო წყების და მოქმედების შესასრულებლათ. ამის გამო არავითარი ხერხი (მანევრი) არ დაიკარგება ცარიელ სივრცეში.

6) თუ მტერი სუსტი და უძრავი გამოდგა, მაშინ კანის (ორთავე) ფრთის ერთ-დროული შემოვლა) ხერხი თავიდანვე მზათაა, ხოლო თუ უსარი იქნა სასურველი, სარდალს ყოველ წუთს შეუძლიან მოქმედების სიმძიმის, რომელიმე ფრთაზედ გადატანა. ეს წყობა იმდენათ მოქნილია, რომ პრაქტიკულის მასშტაბით ეხლაც იხმარება და არც საერთო მარტყობისათვის არის უვარებისი.

როგორც ვხედავთ, ეს წყობა თავის-თავად შეიცავს უმთავრეს საიღუმლოებებს, ნაპოლეონის დიდების თილისმას.

1) ჯარი დაფარულია და მტრისათვის ძნელი დასაზვერი;

2) მუდამ აქვს საშვალება მტრის ძალების და განზრაცვების გამორკვევისა, ამის საშვალებას იძლევა წინა სპის რიცხოვნობა და ბრძოლის წარმოების უნარი, რის გამოც არავითარი ხერხი არ დაიკარგება, და სარდალი. არას დროს არ დაკარგავს ძალას ბრძათ.

3) მიუხედავათ განაწილების, სარდალს მუდამ შეუძლია მთელ თავის ძალების ერთ ბრძოლის ველზედ ამუშავება, ე. ი. ბრძოლის მიღება თავის უაღრეს სიძლიერით. როგორც შემდეგში დავინახვთ, ეს არ იყო უხეში და უცვლელი სქემა, არამედ მდგომარეობის მიხედვით ხდებოდა იქ ძალთა თამაში.

გადავხედოთ ეხლა ამ ხანის, ომის წარმოების სახეს. საქართველოს მომაგრებას არაბები ვერ ურიგდებოდენ და მის დასაპყრობათ, გამოგზავნილ იქმნა დიდი ლაშქარი, როგორც ისტორია აღნიშნავს 200.000-ზედ მეტი. ეს ჯარი გაყოფილი სამ ნაწილათ, გამოემართა სამხრეთიდან საქართველოსაკენ. დავით აღმაშენებელმა სწრაფათ შეკვრიბა ჯარი დასავლეთ ქართლში, დაახლოებით 70.000 და გაეშურა მტრისაკენ. მრავალ რიცხოვანი მტერი, ჩვენი მთების უგზო ბაში, გაყოფილი სამ ნაწილათ და მოკლებული კავშირს, უხეშ მასას წარმოადგენდა. დავით აღმაშენებელი დაესხა თავს შუა ნაწილს და ძლიერ ადგილათ დაამარცხა იგი. მტრის დადანარჩენი ნაწილები განაგრძობდნენ წინსვლას. შევიწროება და უწესრიგობა, ადგილ-მდებარეობის მთიანობის გამო დიდი უნდა ყოფილიყო. უკავშირობის გამო, დავვიანებით, ძლივს შეიტყვეს შუა სპის მოსპიბა და იბრუნეს პირი, აი აქ სათითაოდ იქცნენ მსხვერპლი დავითთან შებრუნებულ მხრით ბრძოლის.

შევადაროთ ეს ბრძოლა, ევროპის საუკეთესო ხანას. დავით აღმაშენებელს მთელი თავისი ძალა უკავია ერთად, წარმოადგენს ერთ ჩაქუჩს. ვხედავთ ძალთა ყაირათობის უმაღლეს გამოყენებას. იყენებს მომენტს, როდესაც მტერი სამ ნაწილათაა გაყოფილი, ე. ი. როდესაც პირდაპირ მათემათიკური სიზუსტითაა გამოანგარიშებული გამარჯვების შანსები, ჯართა რიცხოვნობის მიხედვით.

მტერი სამ ნაწილათ გაყოფილი, ჯერ ბარათ არ დაშვებულა. ეს ერთად-ერთი წუთია, როდესაც შეიძლება 70.000-იანი ლაშქრის 200.000-იანი ლაშქართან დაპირისპირდაპირება გამარჯვების იმედით. ეს ის წუთია, რომლისაც ყველაზედ ძალიან ეშინოდა ნაპოლეონს 1806 წელს, ფრან-

კონიის ტყიან მთებს რომ გადადიოდა, ხოლო დავით აღმაშენებლის ეს მოქმედება ის ხერხია, რომე ლიც სჭიროდა, მაგრამ რომელზედაც წარმოდგენა არა პქანდათ პრუსების სარდლებს. თვით ნაპოლეონმა დავითის მაგვარი ხერხი იხმარა ლომბარდიაში, როდესაც ალვინის ტრიდენტიდან მოდიოდა, რამოდენიმე „კოლონათ“ გაყოფილი. ნაპოლეონი თავს დაესწა მის მთავარ გუნდს, ინგანალეს ხეობაში, და უკუ აგდო, მაგრამ დავითის მაგვარი გამოყენება ამ გამარჯვების მან ვერ მოახერხა, გუნდის მოსპობა და შემდეგ სხვა ძალების განადგურება მან ვერ მოახერხა, თუმცა ათა რიცხვითი ოდენობა, მას დავითზედ უკეთესი პქანდა.

ნაპოლეონი ამ მოქმედებით ახლო მივიდა დავით აღმშენებელის სიმაღლემდე, მაგრამ ამ სრულყოფილობამდე, ბევრი დააკლდა, გარდა ამისა ვხედავთ, რომ დავით აღმაშენებლის გონება, სრულიად თავისუფალია კორდონულ ღმის რამე მახინჯ გავლენისაგან, კი, მისი მიზანი თბილისის დაცვა, მაგრამ ამას ის თბილისის კედლების სისქეში კი არ ხედავს, არამედ მტრის ცოცხალ ძალების მოსპობაში. თბილისს და იქ მიმავალ გზებს, სრულიად ღიათ სტოკებს, თავის ლაშქარს ამისათვის არც ერთ ჯარისკაცს არ აკლებს, არ ერიდება მტრის ერთი რაზმის მოსპობის შემდე, თავისჩედ რამდენიმეჯერ ძლიერ მტრისათვის, თავის სატახტო-ქალაქისაკენ გზის, სრულიად ღია და გადაულობავათ დატოვებას და თვით საკუთარ ზურგის სრულ გალებას.

რამდენი საუკუნო იყო საჭირო, რამდენი ლაშქრის მოსპობა და რამდენი კატასტროფა დატრიალდა, იმისთვის, რომ ევროპის სარდლობას შეეგნა, და ისიც მხოლოთ თეორიულად, რომ ყველაზედ საუკეთესო თავდაცვა, მტრის ძალების მოსპობაა, რომ თუ რამის დაცვა გვსურს, ეს არ ნიშნავს, რომ დასაცავი აბიექტი კბილებში უნდა გვეჭიროს და ზურგი უშუალოდ ზედ მივაყუდოთ, რომ გეოგრაფიული აბიექტი მხოლოდ მეორე ხარისხოვანი საგანია და ბრძოლის თვალსაზრისით ხშირათ მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

გ. ნ-ალ.

(შემდეგი იქნება)

ო უ ს ე თ ი

დღეს საქართველო დაპყრობილია რუსეთის მიერ, რომელიც ერთი უდიდესი სახელმწიფოთაგანია დედამიწის ზურგზედ, რომელიც მართალია აღარ სდგას თავის სიძლიერის უმაღლეს საფეხურზედ, მაგრამ არც ძალიან დაშორებულია მას. ეს მოვლენა გამონაკლისს არ შეადგენს ჩვენს ისტორიაში.

ისეთ მნიშვნელოვან კუთხის დაპყრობას, როგორაც საქართველოა და საერთოთ კავკასია, დასუსტებული, და საკუთარ არსებობის შერჩენა-

ჭედ დაფიქრებული ერი ვერ მოახერხებს. ყველა ის, ვისაც საქართველოში მომდევნობის მიერ უძატონია, ჩვენში მოსულა, თავისი სიძლიერის უმაღლეს განვითარების დროს, და პირველ შერხევისთანავე, მათ ცას წვდებოდა ქართლის მნათობთა სხივები.

ჩვენი წინაპრები მალე ეცნობოდენ გაბატონებულ მტერს, და ისე კარგათ ერკვეოდნენ ახალ მდგომარეობაში, რომ არასოდეს არ დაუგვიანებიათ, არც ერთ ისტორიულ მოვლენის გამოყენებაში, ერთს სულისკვეთების განსახორციელებლათ. ძლიერ ხშირათ დაცემის ხანა რომელიმე ფიდ ერისა პატარა საქართველოს დაუწყვია.

ამ ნიადაგზედ იდგა საქართველოს ისტორიული ცხოვრება, იგი იცნობდა თავის მტრებს. შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ასევეა დღესაც? რომ დღესაც საქართველო იცნობს თავის მტერს? რომ ქართულ საზოგადოებას აქვს სრული და რეალური წარმოდგენა ოუსეთზედ, რომ აქვს მას ისეთი ცოდნა რუსეთის, რომელიც აუცილებლივ შეიტანა ორ სამკვდრო-სასიცო-ცხლო ბრძოლაში ჩაბმულ მოწინააღმდეგეთ?

საქართველოს დღევანდელი თაობა რუსეთის საზღვრებშია აღზრდილი, მთელი ქართველი ინტელიგენცია საუცხოვო იცნობს რუსულ ენას, საუბედუროთ ზოგი მათგანი ქართულზედ უკეთესად.

უფროსი თაობა ჩვენი მხედრობის რუსეთის ჯარშია აღზრდილი და ჩვენდა სავალალოთ, ზოგი მათგანი დღესაც აშაკარათ თავის-თავს უფრო რუსეთის იანიჩრათ დაკონდორიერათ აცხადებს, ვიდრე ქართველ მხედრათ.

ყაველივე ამის გამო, რუსეთს საუცხოვო უნდა ვიცნობდეთ. მაგრამ ეს ასე არ არი, ქართველი საზოგადოება ისევე სტუურება შეფასებაში და ისევე ცუდათ იცნობს მას ე.ი. რუსეთს, როგორც ყველა სხვაუცხოელი. რა არის რუსეთი?

საერთოდ რომელიმე სახელმწიფოს გასაცნობათ საჭიროა მისი განზომის, მცხოვრებთა ალრიცხვის და მრეწველობის დამახასიათებელი რიცხვების შესწავლა, შემდეგ მისი ლიტერატურის გაცნობა.

რუსეთი ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს, და ის ვინც მას სხვა ერთა თანაბარ საზომით მიუდგება, ვერასოდეს ვერ მიიღებს რუსეთის ნამდვილ სურათს. ეს ერთად ერთი ერია რომელსაც არაფერი საკუთარი არა აქვს, რომლის ლიტერატურაც ისევე გამყიდველია და ვერაგი, როგორც სავაჭრო მოედანი, რომელიც შექმნილია საკუთარ აზრების დამალვა, გულ ჩახვევის სისტემაზედ და რომლის ერთგული ფსიქოლოგია სცდილობს სთქვას ის, რაც მსმენელს მოეწონება. ამ ერის აზროვნების გაგება შეუძლია, მცხოლოთ კარგ ფსიქოლოგს, რომელსაც ძალუბს მაგარი ხელით აუწიოს მაღლა ნიკაპი მხდალ ევნუხს და მისი ლაპარაკის გარეშე, ამოიკითხოს მის თვალებში მისი ნამდვილი გულის წადილი.

რუსეთის განზომის რიცხვები, ჯამია მასთან სამკვდრო-სასიცო-ცხლო ბრძოლაში ჩაბმულ ერების, ხოლო ის რასაც მისი ჩანგი ჰქონდა, თვით ამ ჩანგის მოგვებსვე არა სწამდათ და თვითონვე ძლიერ ხშირათ უარყოფდნენ.

რუსეთის ლიტერატურა არასოდეს არ ყოფილა ერის გრძნობათა შეკუვები და მისი პანგები მხოლოდ დროის ძლიერთა წარბთა თამაშზე დიდი იყო და მოკიდებული. აი ეს გარემოებაა, რომელსაც შეცდომაში შეკუვები ის ვინც რუსეთს სხვა ერთა თანაბარ საზომით უდგება, და თითქოს განუჭრებულ ბურუსის სუდარაში ჰყავს გახვეული ეს ერი. რომ ვისმეს შეეძლას რამე რიცხვის ნამდვილი შეფასება ან რუსეთის საზოგადოების აზრის გაგება, საჭიროა ის იმდენათ ახლო და პრაქტიკულათ იცნობდეს ამ ერს, რომ მოახერხოს ამ რებუსის სტრიქონებიდან სინამდვილის ამოკითხვა.

რუსეთი მთელი თავის ისტორიის სიგრძეზე ყოველ ნაბიჯით ამ-ტკიცებს, რომ მისი საზოგადოება მუდამ „გულმოდგინე თანამოაზროვნეა“ გაბატონებულ ერთეულების, რომ მისი ეკუნომიური ძლიერების გამზომი რიცხვები, უკულმა შეფარდებით ეწყობიან მის ეკუნომიურ გამძლეობას, და მისი შეიარაღებულ ძალთა ვარგისობის კონფიციენტი და რიცხვითი განზომვა, ვერ ეწყობა სხვა ერთა ამდაგვარ საზომს. ყველა ამას ნათლად ჰლა-დებენ თუ ვინდ 1853-56, 1904-5, 1914-18 წლები.

ვინ უნდა იქმნას მიღებული მხედველობაში, რუსეთის შეფასების დროს?

რუსეთის მთელი ისტორია მხოლოდ მის მეფეთა ბიოგრაფიიდან შესდგებოდა. მაგრამ ეს არ არის საკმარისი ყველასათვის, მისი ფართო მასა — გლეხობა მუდამ მოკლებული იყო ადამიანურ უფლებებს, და არავითარ როლს არ თამაშობდა რუსეთის ისტორიაში; სამღვდელოება მეფეთა ხელში მხოლოდ მორჩილ კომიკთა როლს ასრულებდა, ხოლო თავისუფალი აზროვნების ქვეთ და ამ აზროვნების ცხოვრებაში განმახორციელებელი ინტელიგენცია რუსეთს არასდროს არა ჰყოლია. თვით არისტოკრატიაც მუდმივ მონურ მორჩილებაში იმყაფებოდა და რუსეთის სახელმწიფო ებრივ ჩამოყალიბების პირველ დღეებშივე, დასტოვა პოლიტიკური სარბილი.

აი ეს მოვლენები აძლევდნენ მუდამ განსაკუთრებულ მიმართულებას რუსეთის ცხოვრებას და ამისათვის ვისაც სურს მთლიან სილუქტის შექმნა, მისთვის საჭიროა შეისწავლოს, ამ ერის ყველა წოდება ცალ ცალკე, და მერე მათი თანაარსებობა. ამის შემდეგ მიღებული შედეგები დიდ განსხვავებას გამოაჩენს, რუსეთის რეალურ და იმ დეკორატიულ ვარგისობათა შორის, რომელსაც იძლევა იგი სხვა სახელმწიფოებთან თანაბარ მეთოდით შეფასების დროს.

დღეს რუსეთი სამიწათმომქმედო სახელმწიფო არის, აქვს ძლიერ სუსტი მრეწველობა და ამიტომ მის მთავარ ძალას გლეხობა წარმოადგენს, ვნახოთ ეხლა რა გზით ვითარდებოდა მისი ცხოვრება რუსეთის ისტორიაში, რა იდეალი ჰქონდა მას და რა გააკეთა მან რუსეთის ცხოვრებაში. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე, რუსეთის გლეხობა ცხოველის დონეზედ იმყოფებოდა, და არამც თუ რამე სახელმწიფო როლისთამაშედ შეეძლო ფიქრი, არამედ, სწორეთ ზემოაღნიშნულ ხანაში დაიწყო პოლე-


მიკა, რუსეთის საზოგადოებაში, იმის შესახებ;—ლირსია თუ არა რუსის
გლეხი ადამიანის უფლების მოპოვებისა. ჯერ ისევ რუსეთის ისტორიის
დასაწყისშივე რუსეთის გლეხობას ემჩეოდა, ანარქიული, უორგანიზაციო
სიყვარული, ჯურ ისევ «ვ ლადიმერ კრასნო სოლნუშკო»-ს დროინდელ ხა-
ლხურ ლექსებში, «ბილინებში» გამოიხატება ამ გლეხობის არა სიმპატი-
ური განწყობილება, ახლათ დაწყებული ორგანიზაციული ცხოვრებისა-
დმი.

კველაზე გარგათ გამოხატავს ამას ხალხური ლექსი, ალექსეი ტო-
ლასტოს მიერ ნაპოვნი, რომელშიდაც აწერილია ილია მურომეცის კიევი-
დან გაპარვა.

«დუშნო ვ კიევე, ჩტო ვ სკრიკე
ტოლკო კისნეტ კროვი!»

იძახის იგი გზა და გზა პურის ჭამით; რაც დრო გადიოდა და რაც უფრო
მკვიდრ ნიადაგზედ დგებოდა იოანე კალიტის მიერ დაწყებული სახელმწი-
ფოებრივი აღმშენებლობა, თათრებიდან გადმოდებულ სისტემაზედ, მით
უფრო აშკარავდებოდა გლეხობის ანტიპატია, მით უფრო ნალვლიანათ
იღუშებოდა მისი შუბლი, ვინაიდგან გრძნობდა რომ რაღასაც ჰქარგავდა,
მას ნელ-ნელა მიწას აკრავდნენ, მექე ართმევდნენ ამ მიწას და მხოლოთ
მასზე მიწერილ მანქანის როლს-ლა უტოვებდნენ, ამის სათავეს იგი, იქმო-
სკოვის ; რემლის კედლებში ჰქონდა; უკვე მეთოთხმეტე, მეთუთხმეტე
საუკუნის ეპოსში ისმის ზიზღის მაგვარი ჰანგები.

«ჩტო ზა ხან, ჩტო ზა ორდა?

ზანგი.

(ზემდეგი იქნება)

საგამომცემლო საზოგადოება „საქართველო“

მოეწყო საგამომცემლო საზოგადოება „საქართველო“, რომლის მი-
ზანია საზღვარ-გარეთ ქართული მწიგნობრიბისათვის ხელის შეწყობა, და
არსებითად, მეცნიერულ-ისტორიულ და ეროვნულ-პოლიტიკური ხასია-
თის წიგნების თუ სხვა სახის ბეჭდვითი სიტყვის გამოცემა. გამომცემლო-
ბის ცენტრი და სტამბა ღროვებით ქ. ვალანტინეიში იმყოფება. გამომცემ-
ლობას ჰყავს საზღვარ-გარეთის თითქმის ყველა ქვეყნებსა და ქალაქებში,
სადაც კი ქართველი ემიგრანტები სცხოვრობენ, რწმუნებულნი. ამოკლე
ხანში გამოვა საზოგადოების წესდება-მოწოდება.

გამოვიდა და ამ დღეებში გასაგრცელებლად მიუვათ ადგილობრივ რწმუნებულსთ საგამომცემლო საზოგადოება „საქართველო“-ს პირველი გამოცემა ბ-ნი ა.ლ. ასათიანის „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“—224 გვერ. ფასი 10 ტკ.

ქურნალი „გავგასიონი“

1929 წელი დიდ მნიშვნელოვანი არის ქართულ ემიგრაციის ცხოვრებაში. ამ წლიდან იწყებს გამოსხვლას პარიზში ხელოვნების და მეცნიერების ყოველთვიური კრებული „კავკასიონი“. პირველ და მცორე ნომერში დაიბეჭდა პროფ. ექ. თაყაიშვილის გამოკვლევები და აგრეთვე მონაწილეობა მიიღო მთელი წელი ევროპაში მყოფ ქართველ ახალგაზრდათა ძალებმა. ჩენენ მძიმე დროში, იმედი „კავკასიონი“ დასძლევს დაბრკოლებებს და შეასრულებს თავის დანიშნულებას.

რედაქციისაგან.

— ამა წლის სექტემბერში შესრულდება ათი წელი პირველი ქართული სამხედრო სკოლის დაარსებიდან. რედაქციას მიზნად აქვს, აღნიშნოს ეს მნიშვნელოვანი დატა, სპეციალური ნომრის გამოშვებით. ვთხოვთ ყველას, ვისაც კი მოეპოვება რაიმე საბუთები, მოგლენები, სურათები, სამხედრო სკოლის არსებობასთან დაკავშირებული, ე. ი. 1919-1920 წლის დროის, მოაწოდოს რედაქციას. ყველა მასალები და სურათები დაუბრუნდებათ პატრიოთ.

— რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მუშაობის გასაადვილებლათ, ეურნალში მოსათავსებელი მასალა, დაწერილ იქმნას გარკვეულ ხელით, ფურცლის ცალ გვერდზედ.

რედაქცია და გამომცემლობა
ქართველ იუნკერთა კავშირი.

සුඩාසේ සෑර්වරෙහි